გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 131

2022 წლის 8 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების შპს აგრო კომისთვის (ს/ნ 404886414) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 31 მარტს შემოსულია შპს აგრო-კომის (ს/ნ 404886414) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია, იჯარის ფორმით გადაეცეს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.46.21.013.034.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული მიერ 2022 წლის 27 მაისის N 5003406122 დასკვნით, მიწის ნაკვეთის ს/კ 66.46.21.013.034. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 139 350 ლარს.

გორის მუნიციპალიტეტს არ არქვს დაგეგმილი აღნიშნული მიწის ნაკვეთის რაიმე დანიშნულებით გამოყენება. მისი იჯარის ფორმით გაცემა, ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია აღიშნული მიწის ნაკვეთის, შპს აგრო-კომისთვის (ს/ნ 404886414) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა 4 (ოთხი) წლის ვადით. რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის საფუძველზე, ჯერ განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში მდებარე მიწის ნაკვეთი (ქარსაფარი ზოლი) ს/კ 66.46.21.013.034, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს შპს აგრო-კომს (ს/ნ 404886414) შემდგომში მისი დაცვის, მოვლა-პატრონობის და აღდგენის მიზნით.

2. საწყისი საბაზრო ღირებულება: გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 929 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.46.21.013.034) საორიენტაციოდ შეადგენს 139 350 ლარს.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 7020 (შვიდიათასოცი) ლარის ოდენობით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 4 (ოთხი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს მიწის ნაკვეთი (ქარსაფარი ზოლი) ს/კ 66.46.21.013.034 გადაეცემა შემდგომში მისი დაცვის, მოვლა-პატრონობის და აღდგენის მიზნით.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

GORI MUNICIPALITY ASSEMBLY * 218086087 *